

ევროპული კონვენცია სისხლის სამართლის საქმეებზე  
ურთიერთდახმარების შესახებ

სგრასბურგი 1959 წლის 20 აპრილი

პრეამბულა

ქვემოთ ხელისმომწერი მთავრობები, არიან რა ევროპის საბჭოს წევრები,  
თვლიან რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრებს შორის ერთიანობის მიღწევა,  
სჯერათ რა, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების სფეროში საერთო წესების მიღება ხელს შეუწყობს ამ  
მიზნის განხორციელებას,  
თვლიან რა, რომ ამგვარი ურთიერთდახმარება დაკავშირებულია ექსტრადიციის საკითხთან, რომელიც უკვე არის 1957 წლის  
13 დეკემბერს ხელმოწერილი კონვენციის საგანი,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

**თავი I**  
**ზოგადი დებულებანი**  
**მუხლი 1**

1. ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულია იღებენ ამ კონვენციის დებულებათა თანახმად აღმოუჩინონ ერთმანეთს ფართო  
ურთიერთდახმარება იმ დანაშაულებზე სისხლის სამართლებრივი დევნის საკითხებში, სასჯელი რომლებზეც დახმარებაზე თხოვნის  
მიღების მომენტში ექვემდებარება მომთხოვნი მხარის სასამართლო ორგანოების იურისდიქციას.

2. ეს კონვენცია არ გამოიყენება დაპატიმრებასთან, სასჯელის აღსრულებასთან ან სამხედრო დანაშაულებთან, რომლებიც  
არ არიან მიჩნეული დანაშაულად სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობით.

**მუხლი 2**

დახმარებაზე შეიძლება უარი ითქვას:

ა) თუ თხოვნა დაკავშირებულია დანაშაულთან, რომელსაც მოპასუხე მხარე მიიჩნევს პოლიტიკურ დანაშაულად, პოლიტიკურ  
დანაშაულთან დაკავშირებულ დანაშაულად ან ფისკალურ დანაშაულად;

ბ) თუ მოპასუხე მხარე მიიჩნევს, რომ თხოვნის შესრულებას შეუძლია ზიანი მიაყენოს მისი ქვეყნის სუვერენიტეტს,  
უშიშროებას, საზოგადოებრივ წესრიგს ან სხვა ძირითად ინტერესებს.

**თავი II**  
**სასამართლო დავალებანი**  
**მუხლი 3**

1. მოპასუხე მხარე მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით ასრულებს ნებისმიერ სასამართლო დავალებებს, რომლებიც  
დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმეებთან და მიღებულია მის მიერ მომთხოვნი მხარის სასამართლო ორგანოებიდან, მოწმეთა  
ჩვენებების ან ნივთიერი მტკიცებულებების, ჩანაწერების ან დოკუმენტების მიღების მიზნით.

2. თუ მომთხოვნი მხარეს სურს, რომ მოწმეებმა და ექსპერტებმა ჩვენება მისცენ ფიცის ქვეშ, მან უნდა გამოხატოს ასეთი  
სურვილი და მოპასუხე მხარე ასრულებს ამ თხოვნას თუ მისი ქვეყნის კანონმდებლობა ამას არ კრძალავს.

3. მოპასუხე მხარეს შეუძლია მოთხოვნილი ჩანაწერებისა და დოკუმენტების დამოწმებული ასლების ან ფოტოკოპირების  
გადაცემა თუ მომთხოვნი მხარე სპეციალურად არ ითხოვს დედნებს; უკანასკნელ შემთხვევაში, მხარე რომელსაც წაუყენეს მოთხოვნა  
იღებს ყველა ზომას თხოვნის შესასრულებლად.

**მუხლი 4**

მომთხოვნი მხარის სპეციალური თხოვნისას მოპასუხე მხარე მიუთითებს სასამართლო დავალებების ადგილსა და თარიღს.  
ოფიციალურ და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დაესწონ სასამართლო დავალებების აღსრულებას თუ ამაზე არსებობს მოპასუხე  
მხარის თანხმობა.

**მუხლი 5**

1. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს წინამდებარე კონვენციის ხელმოწერის ან სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების  
შესახებ დოკუმენტის დეპონირების დროს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული განცხადებით შეუძლია  
დაიგოვოს უფლება აღასრულოს სასამართლო დავალებები, რომლებიც დაკავშირებულია ჩხრეკასთან ან საკუთრების კონფისკაციის  
შემდეგი პირობებიდან ერთის ან რამოდენიმეს გათვალისწინებით:

ა) დანაშაული, რომელთანაც დაკავშირებულია სასამართლო დავალება დასჯადია, როგორც მომთხოვნი, ასევე მოპასუხე  
მხარის კანონმდებლობით;

ბ) დანაშაული, რომელთანაც დაკავშირებულია სასამართლო დავალება მოპასუხე სახელმწიფოში წარმოადგენს დანაშაულს,  
რომელიც ითვალისწინებს ექსტრადიციას;

გ) სასამართლო დავალებების აღსრულება შეეფარდება მოპასუხე მხარის კანონმდებლობას.

2. როდესაც ხელშემკვრელი მხარე აკეთებს განცხადებას ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მეორე მხარე შეიძლება  
მიმართოს ნაცვალებების პრინციპს.

**მუხლი 6**

1. მოპასუხე მხარეს შეუძლია გადალოს მოთხოვნილი საკუთრების, ჩანაწერების ან დოკუმენტების გადაცემა თუ  
გემოსხენებული საკუთრება, ჩანაწერები ან დოკუმენტები მას ესაჭიროება სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებისათვის.

2. ნებისმიერი საკუთრება, ასევე ჩანაწერებისა და დოკუმენტების ორიგინალები, რომლებიც გადაცემული იქნა სასამართლო დაჯილდოების აღსრულებისათვის მოპასუხე მხარის მიერ უბრუნდება მომთხოვნ მხარეს შეძლებისდაგვარად მოკლე დროში თუ ეს უკანასკნელი არ აცხადებს მათზე უარს.

**თავი III**  
**სასამართლო უწყებისა და განაჩენის გადაცემა –**  
**მოწმეების, ექსპერტებისა და განსასჯელთა გამოცხადება**  
**მუხლი 7**

1. მოპასუხე მხარე ახორციელებს სასამართლო უწყებებისა და განაჩენის გადაცემას, რომლებიც ამ მიზნით მას მიეწოდება მომთხოვნის მხარის მიერ.

გადაცემა შეიძლება განხორციელდეს უწყების ან განაჩენის აღრესაგისათვის უბრალო მიწოდების გზით. თუ მომთხოვნის მხარე სპეციალურად ითხოვს, მაშინ მოპასუხე მხარის მიერ გადაცემა ხორციელდება ანალოგიური დოკუმენტებისათვის მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ან განსაკუთრებული წესით, რომელიც შეეფარდება ამ კანონმდებლობას.

2. გადაცემის ფაქტი მტკიცდება ხელმოწერით, რომელიც დათარიღებული და ხელმოწერილია აღრესაგის მიერ ან მოპასუხე მხარის განცხადებით, იმის თაობაზე, რომ გადაცემა შედგა ფორმისა და თარიღის მითითებით. შესაბამისი დოკუმენტი დაუყოვნებლივ ეგზავნება მომთხოვნ მხარეს. მოპასუხე მხარე მომთხოვნის მხარის თხოვნის შესაბამისად ადასტურებს, რომ გადაცემა განხორციელდა მოპასუხე მხარის კანონმდებლობის შესაბამისად. გადაცემის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მოპასუხე მხარე დაუყოვნებლივ აცნობებს მომთხოვნ მხარეს მიზეზების თაობაზე.

3. ნებისმიერ ხელშეშვერულ მხარეს წინამდებარე კონვენციის ხელმოწერის ან რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ სიგელის დეკლარაციის დროს შეუძლია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული განცხადებით ითხოვოს იმაზე, რომ მის გერიგორიაზე მყოფი ბრალდებული სასამართლოში გამოცხადების უწყისი გადაცემა მის კომპეტენტურ ორგანოს სასამართლოში გამოცხადების თარიღამდე გარკვეული დროით ადრე. ეს დრო მინიმუმ უნდა იყოს განცხადებაში და არ აღემატება 50 დღეს.

ეს დრო გათვალისწინებულია სასამართლოში გამოცხადების თარიღის დადგენაში და უწყების გადაცემის დროს.

**მუხლი 8**

მოწმე ან ექსპერტი, რომელიც არ პასუხობს სასამართლოში გამოცხადების უწყებაზე, იმ შემთხვევაშიც კი როცა უწყისი მოიცავს გაფრთხილებას სანქციებზე არ შეიძლება იქნას დასჯილი ან შეზღუდული გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეძგომში ნებაყოფილობით არ აღმოჩნდება მომთხოვნის მხარის გერიგორიაზე და შესაბამისი წესით განმეორებით არ იქნება გამოძახებული სასამართლოში.

**მუხლი 9**

ფულადი ანაზღაურება, მათ შორის დღიური და საგრანსპორტო ხარჯები, რომლებიც უნდა აუნაზღაურდეს მოწმეს ან ექსპერტს მომთხოვნის მხარის მიერ აღირიცხება მისი საცხოვრებელი ადგილიდან იმ ნორმებით ან ამ ნორმების გოლფასი ნორმებით, გათვალისწინებული გარიგებითა და წესებით, რომლებიც მოქმედებენ იმ ქვეყანაში სადაც უნდა შედგეს საქმის მოსმენა.

**მუხლი 10**

1. თუ მომთხოვნის მხარე მიიჩნევს მოწმის ან ექსპერტის სასამართლოში გამოცხადებას აუცილებლად, ის მიუთითებს, ამის უწყისი გადაცემის შესახებ თხოვნაში და მოპასუხე მხარე სთავაზობს მოწმეს ან ექსპერტს სასამართლოში გამოცხადებას.

მოპასუხე მხარე აცნობებს მომთხოვნ მხარეს მოწმის ან ექსპერტის პასუხის შესახებ.

2. წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებულ შემთხვევაში, თხოვნაში ან უწყისში მითითებულია ფულადი ანაზღაურების დაახლოებითი ზომა, ასევე საგრანსპორტო და დღიური ანაზღაურება.

3. თუ მომთხოვნის მხარე სპეციალურად ითხოვს, მოპასუხე მხარეს შეუძლია მისცეს მოწმეს ან ექსპერტს გარკვეული ავანსი. ავანსის თანხა მინიმუმ უნდა იყოს სასამართლო უწყისში და ანაზღაურდება მომთხოვნის მხარის მიერ.

**მუხლი 11**

1. პირი, რომელიც დაკავებულია და რომლის სასამართლოში პირად გამოცხადებაზე მოწმის როლში ან დაპირისპირებისათვის ითხოვს მომთხოვნის მხარე დროებით გადაიცემა იმ გერიგორიაზე, სადაც უნდა შედგეს საქმის მოსმენა, იმ პირობით, რომ ის დაბრუნებული იქნება მოპასუხე მხარის მიერ მითითებულ ვადებში და მე-12 მუხლის დებულებათა იმ ზომით გამოყენებით, რამდენადაც შესაბამება.

გადაცემაზე შეიძლება უარი ითქვას:

ა) თუ დაკავებული პირი არ ეთანხმება;

ბ) თუ მისი მოპასუხე მხარის გერიგორიაზე ყოფნა აუცილებელია სისხლის სამართლებრივი დენისათვის;

გ) თუ გადაცემა შეიძლება გაახანგრძლივოს მისი დაკავების ქვეშ ყოფნა; ან

დ) არსებობს სხვა მნიშვნელოვანი საფუძველი, რათა ის არ გადაეცეს მომთხოვნის მხარის გერიგორიაზე.

2. მე-2 მუხლის დებულებათა გათვალისწინებით წინა პუნქტში გათვალისწინებული დაკავებულ პირთა საგრანსპორტო გადაყვანა ამ კონვენციის წვერი მესამე სახელმწიფოს გერიგორიის ვავლით დაიშვება მომთხოვნის მხარის იუსტიციის სამინისტროს მიერ გრანზიტული ქვეყნის იუსტიციის სამინისტროსადმი შუამდგომლობის საფუძველზე, რომელსაც თან ერთვის ყველა აუცილებელი დოკუმენტი.

ხელშეშვერულ მხარეს შეუძლია უარი განაცხადოს მისი მოქალაქის გრანზიტზე.

3. გადაცემული პირი მომთხოვნის მხარის გერიგორიაზე რჩება დაკავების ქვეშ და სადაც საჭიროა გრანზიტული მხარის გერიგორიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე რომელსაც ეთხოვა გადაცემა არ მოითხოვს მის განთავისუფლებას.

**მუხლი 12**

1. მოწმეს ან ექსპერტს მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, რომელიც სასამართლო უწყისის საფუძველზე წარდგა მომთხოვნი მხარის სასამართლო ორგანოების წინაშე, ამ გერიგორიაზე არ შეეფარდება სასამართლო ღვენა, დაკავება ან სხვა მისი პირადი თავისუფლების შემზღუდვა იმ ქმედებისათვის ან განაჩენისათვის, რომელიც წინ უსწრებს მის გამგზავრებას მოპასუხე მხარის გერიგორიიდან.

2. მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, პირი რომელიც სასამართლოს უწყების საფუძველზე წარდგა მომთხოვნი მხარის სასამართლო ორგანოების წინაშე, იმ ქმედებისათვის, რომელითა საფუძველზეც მის წინააღმდეგ იქნა აღძრული საქმე ამ გერიგორიაზე არ შეეფარდება სასამართლო ღვენა, დაკავება ან სხვა მისი პირადი თავისუფლების შემზღუდვა იმ ქმედებისათვის ან განაჩენისათვის, რომელიც წინ უსწრებდნენ მის გამგზავრებას მოპასუხე მხარის გერიგორიიდან, თუ ეს სპეციალურად არ იყო აღნიშნული სასამართლოს უწყებაში.

3. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული იმუნიტეტი წყდება თუ მოწმეს, ექსპერტს ან განსასჯელს ჰქონდა რა მომთხოვნი მხარის გერიგორიის დაგოვების შესაძლებლობა და მას მერე რაც მისი ყოფნა არ ესაჭიროებოდათ სასამართლო ორგანოებს, 15 დღის განმავლობაში არ გოვებს ამ გერიგორიას, რჩება ამ გერიგორიაზე ან მისი დაგოვების შემთხვევაში ბრუნდება.

#### **თავი IV სასამართლო ჩანაწერები მუხლი 13**

1. მოპასუხე მხარე გადაცემს ხელშემკვერელი მხარის სასამართლო ორგანოებისაგან მომთხოვნილ ამონაწერებს სასამართლო ჩანაწერიიდან და ინფორმაციას მასზე, რომლებიც საჭიროა სისხლის სამართლის საქმის განხილვისათვის იმავე მოცულობით, როგორითაც შესაძლებელია მიეწოდოს მის საკუთარ სასამართლო ორგანოებს ანალოგიურ შემთხვევაში.

2. ნებისმიერ შემთხვევაში, გარდა წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულისა, თხოვნა შეივსება მოპასუხე მხარის კანონმდებლობით, წესებისა და პრაქტიკით დადგენილი პირობების გათვალისწინებით.

#### **თავი V პროცედურა მუხლი 14**

1. ურთიერთდახმარების შესახებ თხოვნა უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- ა) თხოვნის გამგზავრელი ორგანოს დასახელება;
- ბ) თხოვნის საგანი და მიზეზი;
- გ) შეძლებისდაგვარად მონაცემები შესაბამისი პირის მოქალაქეობასა და პიროვნებაზე;
- დ) თუ აუცილებელია ამ პირის სახელი და მისამართი.

2. გარდა ამისა, მე-3, მე-4 და მე-5 მუხლებში ნახსენებ სასამართლო დავალებებში მინიშნებულია სამართალდარღვევის შემადგენლობა და ფაქტების მოკლე აღწერა.

#### **მუხლი 15**

1. მე-3, მე-4 და მე-5 მუხლში ნახსენები სასამართლო დავალებები და მე-11 მუხლში ნახსენები შუამდგომლობები ეგზავნება მომთხოვნი მხარის იუსტიციის სამინისტროს, პასუხები მათზე ბრუნდება იმავე არხებით.

2. გადაუდებელ შემთხვევებში სასამართლო დავალებები შესაძლებელია გადაგზავნილ იქნას ერთი მხარის სასამართლო ორგანოების მიერ მეორე მხარის სასამართლო ორგანოებისადმი. მათზე პასუხები შესაბამისი დოკუმენტებით უბრუნდებათ წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული არხებით.

3. მე-13 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თხოვნები, შესაძლებელია გადაგზავნილ იქნას დაინტერესებული სასამართლო ორგანოების მიერ მოპასუხე მხარის სასამართლო ორგანოებისადმი და პასუხები შეიძლება დაუბრუნდეთ უშუალოდ ამ ორგანოებისაგან. მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თხოვნები ეგზავნება მომთხოვნი მხარის იუსტიციის სამინისტროს მიერ მოპასუხე მხარის იუსტიციის სამინისტროს.

4. წინამდებარე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თხოვნები ურთიერთდახმარების შესახებ, კერძოდ კი იმ თხოვნებს, რომლებიც ეხება ბრალის წაყენებაზე გამოძიების ჩატარებას, შესაძლებელია გადაიგზავნოს უშუალოდ სასამართლო ორგანოების მიერ.

5. იმ შემთხვევებში, როდესაც წინამდებარე კონვენციით დაშვებულია პირდაპირი გადაცემა, ის შეიძლება განხორციელდეს ინტერპოლის მეშვეობით.

6. ხელშემკვერელ მხარეს შეუძლია წინამდებარე კონვენციის ხელმოწერის, სარაგიფიკაციო სიგელის ან მიერთების შესახებ დოკუმენტის დეპონირების დროს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული განცხადებით ამცნოს, რომ სხვა არხების საშუალებით, რაც არ არის მოყვანილი წინამდებარე მუხლში ან მოითხოვოს, რომ წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო დავალების ასლი იმავდროულად მიეწოდოს მის იუსტიციის სამინისტროს.

7. წინამდებარე მუხლის დებულებანი არ ლახავენ იმ ორმხრივ შეთანხმებებსა და მოლაპარაკებებს, რომლებიც მოქმედებენ ხელშემკვერელ მხარეთა შორის და რომლებიც გათვალისწინებულია დახმარების შესახებ თხოვნის გადაცემა მათი შესაბამისი ორგანოების მიერ.

#### **მუხლი 16**

1. წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებათა გათვალისწინების შემთხვევაში მომთხოვნისა და თანდართული დოკუმენტების თარგმანი არ მოითხოვება.

2. ხელშემკვერელ მხარეს შეუძლია წინამდებარე კონვენციის ხელმოწერის, სარაგიფიკაციო ან მიერთების შესახებ სიგელის დეპონირების დროს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული განცხადებით დაიგოვოს უფლება მოითხოვოს, რომ თხოვნები და თანდართული დოკუმენტები მას მიეწოდოს მის ეროვნულ ენაზე ან ევროპის საბჭოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე ან ენაზე, რომელსაც ის მოითხოვს. სხვა ხელშემკვერელ მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ ნაცვალგების პრინციპი.

3. წინამდებარე მუხლი არ ლახავს იმ ორმხრივ მოლაპარაკებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული მოთხოვნისა და თანდართული დოკუმენტების თარგმანის პროცედურას, რომლებიც მოქმედებენ ხელშემკვერელ მხარეთა შორის.

#### **მუხლი 17**

მტკიცებულებები ან დოკუმენტები, რომლებიც გადაიცემა წინამდებარე კონვენციის გათვალისწინებით არ საჭიროებენ დამოწმებას რაიმე ფორმით.

### **მუხლი 18**

თუ ორგანო, რომელმაც მიიღო თხოვნა ურთიერთდახმარების შესახებ არ არის უფლებამოსილი მის შესრულებაზე, მაშინ ის *ex officio* გადასცემს მოთხოვნას თავისი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს და აცნობებს ამის შესახებ მომთხოვთ მხარეს პირდაპირ ანხეტი, თუ მოთხოვნა გადმოგზავნილია ამ არხებით.

### **მუხლი 19**

ურთიერთდახმარებაზე უარის თქმის ნებისმიერ შემთხვევაში უნდა განიმარტოს მიზეზები.

### **მუხლი 20**

მე-10 მუხლის მესამე პუნქტის დებულებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ურთიერთდახმარების შესახებ თხოვნის შესრულება არ გამოიწვევს ხარჯების ანაზღაურებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს დაკავშირებულია ექსპურტა ყოფნასთან მოპასუხე მხარის გერიგორიაზე ან მე-11 მუხლის საფუძველზე განხორციელებული დაკავებული პირის გადაყვანასთან.

## **თავი VI სასამართლო განხილვასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება მუხლი 21**

1. ერთი ხელშეკვრელი მხარის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებული სასამართლო განხილვასთან მეორე ხელშეკვრელი მხარეში ხორციელდება დაინტერესებული იუსტიციის სამინისტროების მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკვრელი მხარე სარგებლობს მე-15 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული არჩევის უფლებით.

2. მოპასუხე მხარე აცნობებს მომთხოვნ მხარეს მის მიერ მიღებული ნებისმიერი ზომის შესახებ, რომელიც მიღებულია ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით და უგზავნის განაჩენის გამოგანასთან დაკავშირებულ სასამართლო ჩანაწერების ასლებს.

3. მე-16 მუხლის დებულებები გამოიყენება წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილ ინფორმაციასთან მიმართებაში.

## **თავი VII სასამართლო ჩანაწერებიდან ინფორმაციის გაცემა მუხლი 22**

თითოეული ხელშეკვრელი მხარე აცნობინებს ნებისმიერ მესამე მხარეს მისი მოქალაქეების მიმართ გამოგანილი ყველა იმ განაჩენისა და შემდგომი მომების შესახებ, რომლებიც შეგანილია სასამართლო ჩანაწერებში. ასეთ ინფორმაციას იუსტიციის სამინისტროები მიაწოდებენ ერთმანეთს წელიწადში ერთხელ მაინც, თუ შესაბამისი პირი ითვლება ორი ან მეტი ხელშეკვრელი მხარის მოქალაქედ ინფორმაცია გადაეცემა თითოეულ ამ მხარეთაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს პირი არის იმ მხარის მოქალაქე, რომლის გერიგორიაზეც იგი იყო გასამართლებული.

## **თავი VIII დასკვნითი დებულებანი მუხლი 23**

1. ნებისმიერ ხელშეკვრელ მხარეს წინამდებარე კონვენციის ხელმოწერის, რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ სიგელის დეკონირების დროს შეუძლია გააკეთოს დათქმა, კონვენციის დებულებასთან ან დებულებებთან მიმართებაში.

2. ნებისმიერი ხელშეკვრელი მხარე, რომელმაც გააკეთა დათქმა ხსნის ამ დათქმას, როდესაც არსებობს ამის შესაძლებლობა. დათქმის მოხსნა ხორციელდება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის შეგყობინების გზით.

3. ხელშეკვრელ მხარეს, რომელმაც გააკეთა დათქმა კონვენციის დებულებასთან მიმართებაში, შეუძლია მოითხოვოს ამ დებულების გამოყენება მეორე მხარის მიერ იმ ზომით, რა ზომითაც თვითონ დაეთანხმება ამ დებულებას.

### **მუხლი 24**

ხელშეკვრულების მხარეს კონვენციის ხელმოწერის, სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების შესახებ დოკუმენტის დეკონირების დროს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული განცხადებით შეუძლია განსაზღვროს ამ კონვენციის მიზნებისათვის თუ რომელ ორგანოს განიხილავს, როგორც სასამართლო ორგანოს.

### **მუხლი 25**

1. წინამდებარე კონვენცია გამოიყენება ხელშეკვრელ მხარეთა მეტროპოლიებზეც.

2. საფრანგეთთან მიმართებაში ასევე გამოიყენება ალკირზე და საზღვაო დეპარტამენტებზე, ხოლო იტალიასთან მიმართებაში სომალის გერიგორიაზე, რომელიც იმყოფება იტალიის ადმინისტრაციის ქვეშ.

3. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შეუძლია წინამდებარე კონვენციის გამოყენება გაავრცელოს ბერლინის მიწაზე, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე შეგყობინების გაგზავნის გზით.

4. ნიდერლანდების სამეფოსთან მიმართებაში კონვენცია გამოიყენება მის ევროპულ გერიგორიაზე, ნიდერლანდებს შეუძლია გაავრცელოს წინამდებარე კონვენციის გამოყენება ნიდერლანდურ ანტილის კუნძულებზე, სურინამზე და ნიდერლანდურ ახალ გვინეაზე, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე შეგყობინების გაგზავნის გზით.

5. ორ ან მეტ ხელშეკრულ მხარეთა შორის პირდაპირი მოლაპარაკებებით და ამ მოლაპარაკების პირობების დაცვით წინამდებარე კონვენციის გამოყენება შესაძლებელია ამ მხარეთა ნებისმიერ გერიგორიაზე, გარდა წინამდებარე მუხლის პირველ, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებში ნახსენები გერიგორიებისა, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც ის აგებს პასუხს.

## მუხლი 26

1. მე-15 მუხლის მე-7 პუნქტისა და მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის დებულებების გათვალისწინების პირობით, წინამდებარე კონვენცია იმ ქვეყნების მიმართ, რომლებზეც იგი ვრცელდება ცვლის ხელშეკრულ მხარეთა შორის სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ არსებული ნებისმიერი ხელშეკრულების, კონვენციების ან ორმხრივი შეთანხმებების დებულებებს.

2. წინამდებარე კონვენცია არ ხელყოფს ვალდებულებებს, რომლებიც დაკისრებულია ნებისმიერი სხვა ორმხრივი ან მრავალმხრივი საერთაშორისო კონვენციის პირობებით, რომელიც შეიცავს ან შეიძლება შეიცავდეს ამ სფეროში ურთიერთდახმარების კონკრეტული ასპექტების მარეგულირებელ მუხლებს.

3. ხელშეკრულ მხარეებს შეუძლიათ დადონ ერთმანეთში ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებები სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ მხოლოდ წინამდებარე კონვენციის დებულებათა შევსების ან მათ მიერ მოყვანილი პრინციპების გამოყენების ხელშეწყობის მიზნით.

4. იმ შემთხვევაში თუ ორ ან მეტი ხელშეკრულ მხარეს სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარება ხორციელდება ერთგვარ კანონმდებლობაზე დაყრდნობით და სპეციალური სისხლის სამართლის შესაბამის გერიგორიებზე ურთიერთდახმარების ზომებს ორმხრივ გამოყენებას, ამ მხარეებს წინამდებარე კონვენციის დებულებათა მიუხედავად შეუძლიათ ამ სფეროში არსებული ურთიერთობები დაარეგულირონ ასეთი კანონმდებლობის ან სისხლის სამართლის შესაბამისად. ხელშეკრული მხარეები, რომლებიც წინამდებარე პუნქტის შესაბამისად გამოირიცხავენ წინამდებარე კონვენციის ორმხრივ გამოყენებას აგყობინებენ ამის შესახებ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

## მუხლი 27

1. წინამდებარე კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებისათვის. ექვემდებარება რატიფიკაციას. სარატიფიკაციო სიგელი შესაძლებელია გადაეცემა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

2. კონვენცია ძალაში შედის მესამე სარატიფიკაციო სიგელის ჩაბარებიდან 90 დღის შემდეგ.

3. ნებისმიერი ხელმომწერი სახელმწიფოსათვის, რომელმაც მას გაუკეთა რატიფიკაცია კონვენცია ძალაში შედის ამ სარატიფიკაციო სიგელის გადაცემიდან 90 დღის შემდეგ.

## მუხლი 28

1. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს წინამდებარე კონვენციასთან მისაერთებლად შეუძლია მოიწვიოს ევროპის საბჭოს არაწევრი ნებისმიერი სახელმწიფო იმ პირობით, რომ მოწვევის შესახებ რეზოლუციას დაეთანხმება ყველა ის სახელმწიფო, რომელმაც მოახდინა კონვენციის რატიფიკაცია.

2. მიერთება ხორციელდება მიერთების შესახებ დოკუმენტის გენერალური მდივნისათვის შესანახად გადაცემის გზით და შედის ძალაში გადაცემიდან 90 დღის შემდეგ.

## მუხლი 29

ნებისმიერ ხელშეკრულ მხარეს შეუძლია წინამდებარე კონვენციის დენონსირება, იმ ზომით რომლითაც მას ეს ეხება, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი შესაბამისი შეგყობინების გაგზავნის გზით. დენონსაცია ძალაში შედის ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ ასეთი შეგყობინების მიღებიდან 6 თვის შემდეგ.

## მუხლი 30

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი აცნობებს საბჭოს წევრებს და ნებისმიერ სახელმწიფოს მთავრობას, რომელიც მიუერთდა წინამდებარე კონვენციას შემდეგს:

ა) მისი ხელმომწერი მხარეების დასახელებას და ნებისმიერი სარატიფიკაციო სიგელისა და მიერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად გადაცემის შესახებ;

ბ) წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის თარიღს;

გ) ნებისმიერ შეგყობინებას, მიღებული მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-15 მუხლის მე-6 პუნქტის, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის, 25-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების და 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად;

დ) 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად გაკეთებულ ნებისმიერ დათქმას;

ე) 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ნებისმიერი დათქმის მოხსნას;

ვ) 29-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად დენონსაციის შესახებ ნებისმიერ შეგყობინებას და ამ დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღს;

რის დასტურდაც შესაბამისად უფლებამოსილი ქვემოთ ხელისმომწერი აწერენ წინამდებარე კონვენციას ხელს.

შესრულებულია ქ. სტრასბურგში 1959 წლის 20 აპრილს ერთ პირად ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, რომლებსაც თანაბარი ძალა გააჩნიათ და რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივში. კონვენციის დამოწმებულ ასლებს გენერალური მდივანი გაუგზავნის ყველა ხელმომწერ ან მიერთებულ მთავრობებს.

რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის  
24.04. 2003 წლის N 2108 - II ს დადგენილებით

ETS – 99

სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების  
შესახებ ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმი

წინამდებარე ოქმის ხელისმომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები,

სურთ რა, ხელი შეუწყონ 1959 წლის 20 აპრილს, ქ. სტრასბურგში ხელმოსაწერად გახსნილი სისხლის სამართლის საკითხებში ურთიერთდახმარების შესახებ ევროპული კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“ წოდებული) გამოქვეყნებას ფისკალურ დანაშაულთა სფეროში:

მხედველობაში იღებენ, რომ სასურველია კონვენციის შევსება, გარკვეულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I  
მუხლი 1

ხელშემკვერელმა მხარეებმა არ უნდა გამოიყენონ კონვენციის მე-2.ა მუხლით გათვალისწინებული უფლება უარი განაცხადონ დახმარებაზე მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ მოთხოვნა ეხება დანაშაულს, რომელსაც მომთხოვნი მხარე განიხილავს ფისკალურ დანაშაულად.

მუხლი 2

1. იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშემკვერელ მხარეს აღსრულებული აქვს სასამართლო დავალებები საკუთრების ჩხრეკაზე ან კონფისკაციაზე, რომელიც დამოკიდებულია იმ პირობაზე, რომ დანაშაული რომელმაც განაპირობა სასამართლო დავალება დასჯადია, როგორც მომთხოვნი ასევე მოთხოვნის მიმღები მხარის კანონმდებლობით, ეს პირობა იქნება შესრულებული ფისკალურ დანაშაულთა მიმართ იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული დასჯადია მომთხოვნი მხარის კანონმდებლობით და შეესაბამება მოთხოვნის მიმღები მხარის კანონმდებლობით გათვალისწინებულ იგივე სახის დანაშაულს.

2. არ შეიძლება მოთხოვნაზე უარის თქმა იმ საფუძველზე, რომ მოთხოვნის მიმღები მხარის კანონმდებლობა არ აწესებს იმავე სახის გადასახადს ან მოსაკრებელს ან არ მოიცავს იმავე სახის გადასახადებს, მოსაკრებლებს საბაჟო და გაცვლის წესებს, რასაც ითვალისწინებს მომთხოვნი მხარის კანონმდებლობა.

თავი II  
მუხლი 3

კონვენცია ასევე გამოიყენება:

- a) სასჯელის აღსრულების, ჯარიმის ამოღების ან სამართალწარმოების ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებული ღირებულებების მომსახურებასთან მიმართებაში;
- b) განაჩენის გამოცხადების შეფერხებასთან ან აღსრულებასთან, პირობით განთავისუფლებასთან, განაჩენის აღსრულების დაწყების გადავადებასთან ან მსგავსი აღსრულების შეფერხებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებთან მიმართებაში.

თავი III  
მუხლი 4

კონვენციის 22-ე მუხლი შეიცვება შემდეგი ტექსტით, კონვენციის თავდაპირველი 22-ე მუხლი გადავა 1-ლ პუნქტად და ქვემოთმოყვანილი დებულებები ჩამოყალიბდება მე-2 პუნქტში:

„2 შემდეგ, ნებსმიერი ხელშემკვერელი მხარე, რომელმაც მიაწოდა შემოსენებული ინფორმაცია, გადაუგზავნის დაკავშირებულ მხარის ინდივიდუალურ საქმეებში ამ უკანასკნელის მოთხოვნის საფუძველზე, აღნიშნული განაჩენებისა და ღონისძიებების ასლს ისევე, როგორც სხვა ნებსმიერ ინფორმაციას, რათა მან შეძლოს იმის გადაწყვეტა, თუ რამდენად საჭიროებს ნებსმიერ ღონისძიებებს ეროვნულ დონეზე, ასეთი გადაგზავნა განხორციელდება მხარეების იუსტიციის სამინისტროებს შორის“.

თავი IV  
მუხლი 5

1. წინამდებარე ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს იმ წევრი სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას. იგი ექვემდებარება რატიფიცირებას, მიღებას ან დამტკიცებას, რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების შესახებ ინსტრუმენტები დეპონირდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

2. ოქმი ძალაში შევა რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების შესახებ მესამე ინსტრუმენტის დეპონირების თარიღიდან 90 დღის შემდეგ.

3. ხელისმომწერი სახელმწიფოსათვის, რომელიც შემდგომში მოახდენს რატიფიცირებას, მიღებას ან დამტკიცებას, ოქმი ძალაში შევა რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების შესახებ ინსტრუმენტის დეპონირების თარიღიდან 90 დღის შემდეგ.

4. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია მოახდინოს წინამდებარე ოქმის რატიფიცირება, მიღება ან დამტკიცება თუ იმავდროულად ან მანამდე არ ახდენს კონვენციის რატიფიცირებას.

მუხლი 6

1. ნებსმიერ სახელმწიფოს, რომელიც მიერთებულია კონვენციასთან შეუძლია მიუერთდეს წინამდებარე ოქმს, მისი ძალაში შესვლის შემდეგ.

2. ასეთი მიერთება განხორციელდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეპონირების გზით და ძალაში შევა მისი დეპონირების თარიღიდან 90 დღის შემდეგ.

## მუხლი 7

1. ნებისმიერ სახელმწიფოს ხელისმომწერისას ან რაგიფიცირების მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეკონირებისას, შეუძლია განსაზღვროს ის ტერიტორია ან ტერიტორიები, რომლებზეც გავრცელდება წინამდებარე ოქმი.
2. ნებისმიერ სახელმწიფოს რაგიფიცირების მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეკონირებისას ან ნებისმიერ შემდგომ პერიოდში ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული განცხადებით, შეუძლია გააფართოვოს წინამდებარე ოქმის მოქმედება ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე ან ტერიტორიებზე, რომელიც მითითებულია განცხადებაში და რომლის საერთაშორისო ურთიერთობების განხორციელებაზე იგი არის პასუხისმგებელი ან რომლის სახელით იგი უფლებამოსილია იკისროს ვალდებულებები.
3. წინამორბედი პუნქტის შესაბამისად, ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ გაკეთებული ნებისმიერი განცხადება, შეიძლება გამოთხოვდეს იქნას ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული შეტყობინების გზით. ასეთი გამოთხოვა ძალაში შევა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან 6 თვის შემდეგ.

## მუხლი 8

1. კონვენციის დებულების მიმართ ხელშემკვრელი მხარის მიერ გაკეთებული დათქმები ასევე გამოიყენება წინამდებარე ოქმის მიმართაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ მხარეს არა აქვს გაკეთებული სხვაგვარი განცხადება, ხელისმომწერის ან რაგიფიკაციის მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეკონირების დროს. იგივე გამოიყენება კონვენციის 24-ე მუხლის საფუძველზე გაკეთებული განცხადებების მიმართ.
2. ნებისმიერ სახელმწიფოს ხელმომწერისას ან რაგიფიცირების, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეკონირებისას შეუძლია განაცხადოს, რომ იგი იგოვეს უფლებას:
  - a. არ მიიღოს თავი, ან მიიღოს იგი მხოლოდ გარკვეულ დანაშაულთა ან პირველ მუხლში გათვალისწინებულ დანაშაულთა გარკვეული კატეგორიების მიმართ, ან არ აღასრულოს ფისკალურ დანაშაულებთან დაკავშირებული სასამართლო დავალებები საკუთრების ჩხრეკვის ან კონფისკაციის შესახებ;
  - b. არ მიიღოს მე- II თავი
  - c. არ მიიღოს მე- III თავი
3. ნებისმიერ ხელშემკვრელი მხარეს შეუძლია გააუქმოს წინამორბედი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული განცხადება, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული განცხადებით, რომელიც ძალაში შევა მისი მიღების დღიდან.
4. ხელშემკვრელ მხარეს, რომელიც წინამდებარე ოქმის მიმართ იყენებს კონვენციის დებულების მიმართ გაკეთებულ დათქმას ან რომელიც აკეთებს დათქმას წინამდებარე ოქმის დებულების მიმართ, არ შეუძლია მოითხოვოს ასეთი დებულების გამოყენება სხვა ხელშემკვრელი მხარისაგან, თუმცა, თუ მისი დათქმა ნაწილობრივ ან პირობითია, მას შეუძლია მოითხოვოს ასეთი დებულების გამოყენება იმ ფარგლებში, რომელშიც მას თვითონ აქვს მიღებული.
5. არანაირი სხვა დათქმის გაკეთება არ დაიშვება წინამდებარე ოქმის დებულებათა მიმართ.

## მუხლი 9

წინამდებარე ოქმის დებულებანი არ შეზღუდვენ ხელშემკვრელ მხარეთა შორის, კონვენციის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენებით დადებული ორმხრივი თუ მრავალმხრივი შეთანხმებების უფრო ფართო წესებს.

## მუხლი 10

ევროპის საბჭოს სისხლის სამართლებრივ პრობლემათა ევროპული კომიტეტი ინფორმირებული იქნება წინამდებარე ოქმის გამოყენების თაობაზე და მიიღებს ყველა საჭირო ზომას, რათა ხელი შეუწყოს ნებისმიერი იმ სირთულის მშვიდობიან გადაწყვეტას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მის განხორციელებისას.

## მუხლი 11

1. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს, რამდენადაც ეს მას ეხება, შეუძლია წინამდებარე ოქმის დენონსირება, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე მიმართული შეტყობინების გზით.
2. ასეთი დენონსაცია ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ ასეთი შეტყობინების მიღების დღიდან ექვსი თვის შემდეგ.
3. კონვენციის დენონსაცია ავტომატურად იწვევს წინამდებარე ოქმის დენონსაციას.

## მუხლი 12

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს და კონვენციასთან მიერთებულ ნებისმიერ სახელმწიფოს:

- a) წინამდებარე ოქმის ნებისმიერი ხელმომწერის შესახებ;
- b) რაგიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის ნებისმიერი დეკონირების თაობაზე;
- c) მე-5 და მე-6 მუხლების შესაბამისად წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის თაობაზე;
- d) მე-7 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების დებულებათა შესაბამისად მიღებული ნებისმიერი განცხადების შესახებ;
- e) მე-8 მუხლის პირველი პუნქტის დებულებათა შესაბამისად მიღებული ნებისმიერი განცხადების შესახებ;
- f) მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის დებულებათა შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი დათქმის შესახებ;
- g) მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის დებულებათა შესაბამისად განხორციელებული ნებისმიერი დათქმის გაუქმების შესახებ;
- h) მე-11 მუხლის დებულებათა შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეტყობინებისა და დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღის თაობაზე.

რის დასტურადაც, ამაზე შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილმა ხელმომწერებმა, მოვაწერეთ ხელი წინამდებარე ოქმს.

შესრულებულია ქ. სტრასბურგში 1978 წლის მარტის თვის მე-17 დღეს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ერთ ეგზემპლარად, ამასთან ორივე ტექსტი თანაბრად ავთენტიკურია და ინახება ევროპის საბჭოს არქივში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი გადაუგზავნის დამოწმებულ ასლებს თითოეულ ხელმომწერ და მიერთებულ სახელმწიფოს.